

**ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი**

**ფინანსური ანგარიშგება  
31 დეკემბერი, 2018**

**და**

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
<b>ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</b>	
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	9
2 მომზადების საფუძველი	9
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	10
4 ძირითადი საშუალებები	14
5 მისაღები გრანტები	15
6 ფული და ფულის ეკვივალენტები	16
7 გადავადებული საგრანტო შემოსავალი	16
8 შემოსავალი გრანტებიდან	17
9 სხვა საოპერაციო ხარჯები	19
10 სხვა საოპერაციო შემოსავლები	19
11 ფინანსური ინსტრუმენტები	19
12 ფინანსური რისკის მართვა	19
13 გაუთვალისწინებელი გარემოებები	22
14 დაკავშირებული მხარეები	22
15 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა**

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადელობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

გიორგი კლდიაშვილი  
აღმასრულებელი დირექტორი



ქეთევან ესვანჯია  
ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

თარიღი: 20 მაისი, 2019

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**  
**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დამფუძნებლებს**

**დასკვნა**

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის („ორგანიზაცია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

**დასკვნის საფუძველი**

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, აღწერილია ამავე დასკვნის აბზაცში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ („IESBA Code“) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურები და მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი დასაბუთებული რწმუნება განსახილველ საკითხზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

**ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ორგანიზაციის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა და საკურობის შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დამცემის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს ორგანიზაციის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ორგანიზაციას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

6 Marjanishvili Str | 0102 | Tbilisi | Georgia  
office +995 322 000 123 | [info@morison.ge](mailto:info@morison.ge) | [www.morison.ge](http://www.morison.ge)

Audit | Accounting | Tax & Legal | Valuation | Business Consulting

Morison Georgia is a member of the Morison KSI, a global association of leading professional service firms, established to meet the cross-border accounting, auditing, tax and business consulting needs of clients.

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა (გაგრძელება)**

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)**

აუდიტორს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისთვის, რათა დავეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ორგანიზაციის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენ მოგვეთხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა ადეკვატურად არ არის აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრება დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე, თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ორგანიზაციის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსურ ანგარიშგებას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს ანგარიშგება ორგანიზაციის ტრანზაქციებს და მოვლენებს.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:  
აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-F-320544  
SARAS-A-865011

თბილისი, საქართველო

20 მაისი, 2019



ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
<b>აქტივები</b>			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	57,783	59,398
არამატერიალური აქტივები		4,394	5,492
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>62,177</b>	<b>64,890</b>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		552	504
გადახდილი ავანსები		47,726	14,134
საგადასახადო აქტივები		4,410	-
მისაღები გრანტები	5	763,136	550,496
ფული და ფულის ექვივალენტები	6	627,644	945,898
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>		<b>1,443,468</b>	<b>1,511,032</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>1,505,645</b>	<b>1,575,922</b>
<b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>			
კაპიტალი			
წმინდა აქტივები		266,137	221,319
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>266,137</b>	<b>221,319</b>
<b>ვალდებულებები</b>			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული საგრანტო შემოსავალი	7	1,199,691	1,353,885
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>1,199,691</b>	<b>1,353,885</b>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები დონორისადმი		-	-
საეჭრო და სხვა ვალდებულებები		9,969	718
მიღებული ავანსები		29,848	-
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>39,817</b>	<b>718</b>
<b>სულ ვალდებულებები და ფონდები</b>		<b>1,505,645</b>	<b>1,575,922</b>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2019 წლის 20 მაისს:

გიორგი კლდიაშვილი  
 აღმასრულებელი დირექტორი



ქეთევან ესვანჯია  
 ფინანსური მენეჯერი

*Handwritten signature of Ketevan Esvanjia*

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი  
 სრული შემოსავლების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი გრანტებიდან	8	1,479,377	1,360,893
ხელფასები		(669,115)	(619,255)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(843,027)	(729,078)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	10	137,100	33,744
ცვტა და ამორტიზაცია		(13,923)	(10,290)
<b>საოპერაციო შედეგი</b>		<b>90,412</b>	<b>36,014</b>
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(45,594)	53,719
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>44,818</b>	<b>89,733</b>
მოგების გადასახადი		-	-
<b>პერიოდის მოგება/(ზარალი)</b>		<b>44,818</b>	<b>89,733</b>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2019 წლის 20 მაისს:

გიორგი კლდიაშვილი  
 აღმასრულებელი დირექტორი



ქეთევან ესვანჯია  
 ფინანსური მენეჯერი

*Handwritten signature of Ketevan Esvanjia*

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2018	2017
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული გრანტები (დონორებისთვის დაბრუნებების გამოკლებით)		1,211,757	1,848,746
მიღებული შემოწირულობა		7,618	8,899
სხვა მიღებული თანხები		29,849	5,880
გადახდილი ხელფასი და ჰონორარები		(678,265)	(683,516)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(191,767)	(181,913)
საკონფერენციო ფართების იჯარა		(126,007)	(95,201)
ვებ-გვერდის შექმნა		(99,184)	(11,921)
კონსულტაციები		(75,075)	(68,999)
გადახდილი ავანსები		(47,963)	-
სტიპენდიები		(33,364)	-
თარგმანები		(38,678)	(25,074)
მივლინებები		(38,104)	(107,597)
კონსულტანტთა მგზავრობის ხარჯები		(31,369)	(10,123)
რეკლამის ხარჯები		(28,185)	(6,118)
ოფისის იჯარა		(28,348)	(30,393)
ბეჭდვა		(27,264)	(23,384)
ოფისის მოვლის ხარჯები		(27,191)	(38,886)
საკანცელარიო საქონელი		(14,278)	(18,942)
დაჯილდოვების ხარჯები		(4,300)	(4,000)
ბანკის მომსახურება		(2,994)	(3,161)
სხვა გადახდები		(48,326)	(50,214)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>(291,438)</b>	<b>504,083</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(9,786)	(32,843)
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(9,786)</b>	<b>(32,843)</b>
საკურსო სხვაობა		(17,030)	(47,521)
<b>ფულადი სახსრების ზრდა/(კლება)</b>		<b>(318,254)</b>	<b>423,719</b>
<b>საწყისი ნაშთი</b>		<b>945,898</b>	<b>522,179</b>
<b>საბოლოო ნაშთი</b>	<b>6</b>	<b>627,644</b>	<b>945,898</b>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და სრულყოფილია 2019 წლის 20 მაისს:

გიორგი კლდიაშვილი  
 აღმასრულებელი დირექტორი



ქეთევან ესვანჯია  
 ფინანსური მენეჯერი

*Handwritten signature of Ketevan Esvanjia*

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 თანხები მოცემულია ლარში

	წმინდა აქტივები	სულ წმინდა აქტივები
<b>31 დეკემბერი 2016</b>	<b>131,586</b>	<b>131,586</b>
ცვლილება წმინდა აქტივებში 2017	89,733	89,733
<b>31 დეკემბერი 2017</b>	<b>221,319</b>	<b>221,319</b>
ცვლილება წმინდა აქტივებში 2018	44,818	44,818
<b>31 დეკემბერი 2018</b>	<b>266,137</b>	<b>266,137</b>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2019 წლის 20 მაისს:

გიორგი კლდიაშვილი  
 აღმასრულებელი დირექტორი



ქეთევან ესვანჯია  
 ფინანსური მენეჯერი

*Handwritten signature*

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

## 1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (ს/კ: 204569617) არის საქართველოში დაფუძნებული არაკომერციული არამომგებიანი იურიდიული პირი, რომლის მიზანია მთავრობის გახსნილობისა და ინფორმირებული სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა საჯარო ინფორმაციასთან წვდომის უზრუნველყოფის გზით. ორგანიზაცია 2009 წელს დაფუძნდა ორი მკვლევარის - ლევან ავალიშვილის და გიორგი კლდიაშვილის მიერ. ორგანიზაციის მისამართია გრიბოედოვის ქ. N3, 0108, თბილისი, საქართველო.

ორგანიზაციის მისიაა მთავრობის გახსნილობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, ინფორმირებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერა საჯარო ინფორმაციასთან წვდომის უზრუნველყოფის გზით.

## 2 მომზადების საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ამჟამად ფასს არ შეიცავს არამომგებიანი ორგანიზაციებისთვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე სპეციფიურ მითითებებს არამომგებიანი ორგანიზაციების სპეციფიური ოპერაციების აღრიცხვაზე და წარდგენაზე, ორგანიზაციის სააღრიცხვო პილიტიკები ეფუძნება ფასს-ის ძირითად პრინციპებს, როგორც ისინი აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში.

### 2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

### 2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ორგანიზაციის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს მის ოპერაციებს და ორგანიზაციის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარდგენილია ლარში დამრგვალებული ერთეულამდე.

### 2.4 შეფასებისა და დაშვებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მთელ რიგ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, ასევე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. ამგვარი შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის ცოდნას მიმდინარე მოვლენებზე და მოლოდინებს მომავალთან დაკავშირებით, თუმცა რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ახლანდელი შეფასებებისგან და შესაბამისად მომავალში ეს შეფასებები და დაშვებები შესაძლოა შეიცვალოს.

### 2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ორგანიზაციამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შესაბამისად ორგანიზაციის ოპერაციებს.

**2 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

**2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება (გაგრძელება)**

- ა) ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- 2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 9-მ ჩაანაცვლა ზასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე, მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, განახლებულ სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და ჰეჯერების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე, მოიცავს ზასს 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება - არ აღიარების მითითებებს.
- ბ) ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. 2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 15-მა ჩაანაცვლა შემოსავლების აღიარების არსებული პრინციპი, მათ შორის ზასს 18 - შემოსავლები და ზასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისთვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჟღავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.
- გ) ფასიკ 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება აჯანსაღ ახალი განმარტების მიზანი არის, აწარმოოს მითითებები საბუღალტრო აღრიცხვისთვის, რომელიც მოიცავს წინასწარ გადახდებს უცხოურ ვალუტაში.

**2.6 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**

ფასს 16 - იჯარა (ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან)

2016 წლის იანვარში ზასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის, თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და სამორტიზაციო ანარეცხვის აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

**3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა**

**3.1 უცხოური ვალუტა**

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდისთვის ძირითადი სავალუტო კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
1 აშშ დოლარი =	2.6766 GEL	2.5922 GEL
1 ევრო =	3.0701 GEL	3.1044 GEL

### 3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

#### 3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სასარგებლო მოსმასურების ვადები ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან განისაზღვრება მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაზე გაწეული დანახარაჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და წარედგინება ცალკე. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაზე გაწეული დანახარაჯები ამორტიზირდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადასა და შესაბამის საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. სასარგებლო მომსახურების ვადა ყველა ძირითადი საშუალებისთვის განსაზღვრულია 5 წელი.

#### 3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

##### *ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა*

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, როდესაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, როდესაც ის შესრულდება (როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა ამოიწურება).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარაჯები.

##### *ფინანსური აქტივების აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება*

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში აღიარებით;
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები;
- ვადიანი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტების დაყოფა კატეგორიებად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შემდეგი შესაძლებელია აისახოს როგორც მოგება-ზარალში, ასევე პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა 10-ში კომპანიის ფინანსურ აქტივების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით.

ზოგადად, ორგანიზაცია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად „ფინანსური ხარჯი“ ან „ფინანსური“ შემოსავალი, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საექვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით.

**3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)**

**3.3 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

**სესხები და მოთხოვნები**

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებულ ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორების მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობით. ამ მიზნებისთვის შესაბამისი თავდაპირველი ეფექტი საპროცენტო განაკვეთია.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე, ის მოთხოვნები, რომლებსგანაც თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

**ფული და ფულის ექვივალენტები**

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია მე-10 შენიშვნაში.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო

**3.4 გაუფასურება**

**ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება**

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ამ აქტივს არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის სხვაობა. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

